

საქმე №3ბ/719-07წ.



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

01 მაისი, 2008 წელი.

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე ლუარა ჭუმბურიძე
მოსამართლეები: მაია ბაქრაძე
ალექსანდრე იოსელიანი

სხდომის მდივანი ნინო გოგატიშვილი

აპელანტი (მოპასუხე): საქართველოს უზენაესი სასამართლო.
წარმომადგენელი

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე):

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა. საჯარო ინფორმაციის
გაცემის დავალება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რეკორდ

რწმუნებულმა, 2007 წლის 30 იანვარს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ და მოითხოვა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების უფროსის 2007 წლის 18 იანვრის №თ- და 2007 წლის 24 იანვრის წერილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის დავალება, გასცეს ყოფილი მოსამართლეების: და , ასევე მოქმედი მოსამართლის, , საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართები (ს.ფ.2-3).

მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ სცნო (ს.ფ.24-25).

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას მოსარჩელემ იმ მოტივით, რომ მისამართი მის ინტერესებში აღარ შედიოდა, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა. სარჩელს დანარჩენ ნაწილში მხარი დაუჭირა და მისი დაკმაყოფილება მოითხოვა; მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ სცნო (ს.ფ.34-37).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით

სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის №თ- და 2007 წლის 24 იანვრის №თ- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ცნობილი იქნა ბათილად და მოპასუხე საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაევალა, გასცეს საჯარო ინფორმაცია: საკასაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების, და

საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართები (ს.ფ.42-46).

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების: და

სახლის მისამართების მოთხოვნით მოსარჩელე წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კადრების სამმართველოს უფროსს, რაზედაც 2007 წლის 17 იანვრის №თ- და 2007 წლის 24 იანვრის №თ- წერილებით ეთქვა უარი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.2-ე მუხლის თანახმად; პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ანუ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების: და სახლის (საცხოვრებელი

ადგილის რეგისტრაციის) მისამართები არის ის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ამ პირთა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა და, შესაბამისად, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რაშიც ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას. მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე მხარის მიერ სზაკ-ის 37.2-ე მუხლით გათვალისწინებულ საწარმოო წესით დამოწმებულ თანხმობათა წარმოუდგენლობის გამო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, გასცეს პირის პერსონალური მონაცემები არ ეთანხმება; პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, სზაკ-ის 42-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად ყველას აქვს უფლება, იცოდეს. ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად. და

მიერ კი არ ყოფილა პერსონალური მონაცემები მიჩნეული პირად საიდუმლოებად. მოპასუხის მიერ ასევე არ ყოფილა სასამართლოსათვის წარდგენილი სზაკ-ის 30-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჯარო

ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, არ მოუხდენიათ რა და
მათთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და პერსონალური
მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის ნება არ გამოუხატავთ; სასამართლომ
მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების მისაღებად
აუცილებელი არ არის წერილობითი თანხმობა და ის მოსარჩელეთათვის
ხელმისაწვდომი უნდა იყოს; პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-
ის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია სზაკ-ის 28-ე
მუხლის მიხედვით ღიაა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და
დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული
ინფორმაციისა. კანონით სწორედ პერსონალური მონაცემების სუბიექტს მიენიჭა
პრიორიტეტი, განსაზღვროს, რომელი პერსონალური მონაცემები მიაჩნია პირად
საიდუმლოებად. შედეგად, შესაბამისი დაწესებულების (სადაც დაცულია ეს
მონაცემები) გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პერსონალური მონაცემები, რომელიც
მიჩნეული იქნება პირად საიდუმლოებად პირის მოთხოვნის საფუძველზე, ექცევა სხვა
სამართლებრივ რეჟიმში, ანუ, იგი უკვე აღარ ექვემდებარება ხელმისაწვდომობას.
განსახილველ შემთხვევაში კი მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, არ
ყოფილა რა ის მიჩნეული პირად საიდუმლოებად, არ უნდა მოექცეს შემზღვეველ
არეალში; პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, აღნიშნული მოტივებით
მოსარჩელისათვის პერსონალური მონაცემების გაცემაზე უარი არამართლზომიერია და
ისინი სზაკ-ის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველით ბათილად უნდა იქნან
ცნობილნი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს
უზენაესმა სასამართლომ და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით
სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების წესი. აღნიშნული ნაწილით
რეგლამენტირებული ნორმის თანახმად, „სხვისი პერსონალური მონაცემების ან
კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას
განცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს
შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ
დამოწმებულ თანხმობას“. მითითებული ნორმა პირდაპირ განმარტავს, რომ
პერსონალური მონაცემების მოთხოვნისას აუცილებელია, განმცხადებელმა წარადინოს
იმ პირთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, ვის მისამართსაც ითხოვს, ან
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა. ზურაბ ინაშვილს კ
ბესიკ კობერიძის ან გიორგი ქაჯაიას თანხმობა მათი სახლის მისამართის გაცემის
თაობაზე არ წარუდგენია; პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის
თაობაზე, რომ ვინაიდან და წინასწარ წერილობით
არ მოუთხოვიათ მათი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება, ამიტომ ეს
მონაცემები არის საჯარო და მათ გასაცემად საჭირო აღარ არის მათი თანხმობა
არასწორია, ვინაიდან სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასეთი განმარტების
შესაძლებლობას არ იძლევა. აღნიშნულ ნორმაში პირდაპირაა მითითებული, რომ
სხვისი პერსონალური მონაცემების გასაცემად (იმის მიუხედავად, ეს მონაცემები

პირის მოთხოვნით არის თუ არა გასაიდუმლოებული) აუცილებელია ამ პირის სანოტარო წესით დამოწმებული ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული თანხმობა; არ ეთანხმებიან მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაკეთებული დათქმა: „გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ გულისხმობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სადაც ლაპარაკია სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელის მიერ მოპასუხის სახლის მისამართის მითითების ვალდებულებაზე. სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში გაკეთებული დათქმა „გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ გულისხმობს კანონით პირდაპირ, კონკრეტულად მითითებულ შემთხვევას და მას არაფერი აქვს საერთო სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან, რომელიც საერთოდ არ ეხება საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებს; გარდა აღნიშნულისა, სზაკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაანმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა“. ამრიგად, პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაციის გასაცემად აუცილებელია ამ პირის თანხმობა, ან სასამართლოს გადაწყვეტილება, ან ეს პირი უნდა წარმოადგენდეს თანამდებობის პირს. მოცემულ შემთხვევაში არცერთი პირობა სახეზე არ არის. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დროისათვის

და აღარ იყვნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და, შესაბამისად, თანამდებობის პირები. იმ შემთხვევაშიც, ბესიკ კობერიძე და გიორგი ქაჯაია თანამდებობის პირები (მოქმედი მოსამართლეები) რომც ყოფილიყვნენ, დაუშვებელი იქნებოდა მათი სახლის მისამართების გაცემა, ვინაიდან სზაკ-ის 42-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, იცოდეს საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება“. ამრიგად, მითითებული ნორმა საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, გასცეს ინფორმაცია თანამდებობის პირთა მხოლოდ ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის შესახებ და არაფერია ნათქვამი სახლის მისამართზე. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას არა აქვს უფლება, საჯარო მოსამსახურის თანხმობის გარეშე გასცეს ინფორმაცია მისი სახლის მისამართის შესახებ ს.ფ. 52-54).

2008 წლის 26 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას წარუდგინა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ იმის მიუხედავად, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სააპელაციო საჩივარი მას და მის მარწმუნებელს უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, დღეის მდგომარეობით საკუთარი შესაძლებლობებით შეძლეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების: და სახლის მისამართების დადგენა, რაც ესაჭიროებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში მათი მესამე პირებად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად № საქმეში. შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე და სსსკ-ის 83*-ე მუხლის საფუძველზე მიღებული აქვთ გადაწყვეტილება სარჩელის გამოხმობის შესახებ, რადგან სასარჩელო მოთხოვნა თვითონ დაიკმაყოფილეს და თვითონვე დაადგინეს საქართველოს ყოფილი მოსამართლეების:

და მისამართები და აცნობეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის № საქმის განმხილველ სასამართლოს, რისთვისაც ესაჭიროებოდათ სარჩელით მოთხოვნილი ინფორმაცია.

ნელი ნებიერიძეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გაეგზავნა წერილი, სადაც მიეთითა ზ. ინაშვილის 2008 წლის 26 მარტის განცხადების შინაარსი და განემარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 83* მუხლს არ მოიცავს. მოსარჩელის მერ სარჩელის გამოხმობა გათვალისწინებულია აღნიშნული კოდექსის 83¹-ე მუხლით, რომლის თანახმადაც „მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ნებიერიძეს ეთხოვა, ეცნობებინა სასამართლოსათვის, სურდა თუ არა სარჩელის გამოხმობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის თანახმად.

2008 წლის 14 აპრილს სააპელაციო სასამართლოში შემოვიდა ნელი ნებიერიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ „26.03.08 წლის №. განცხადებით სამ. საპრ. კ-ის 83*-ე მუხლის საფუძველზე“ სარჩელი გამოიხმეს და მოითხოვეს ამ საპროცესო ნორმით გათვალისწინებული განჩინების აღწერილობით ნაწილში სარჩელის გამოხმობის გადაწყვეტილების მოტივებზე მითითება.

აპელანტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს (მოპასუხე) წარმომადგენელმა სარჩელის გამოხმობას მხარი არ დაუჭირა, რის გამოც საქმე განხილული იქნა.

აპელანტის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივარს და მისი დაკმაყოფილება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც საქმე განხილული იქნა მისი დასწრების გარეშე.

სააპელაციო პალატამ მოუსმინა პროცესის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულ მონაწილეს, გაანალიზა საქმის მასალები და თვლის, რომ

სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, რომლის შინაარსსაც მოსარჩელე (ამავე დროს მოსარჩელე და წარმომადგენელი) ეთანხმება, მოსარჩელე მხარემ სასარჩელო მოთხოვნა თვითონ დაიკმაყოფილა და თავად დაადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების: და მისამართები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე დავის საგანი აღარ არსებობს. ანუ, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რა დროსაც სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით წყვეტს საქმის წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდეს.

სააპელაციო პალატა განუმარტავს მხარეებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, არ დაიშვება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, , 272.ა¹-ე, 274-ე, 390-ე, 414-416-ე მუხლებით და


და ა ა დ გ ი ნ ა :

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება (ქ -) გაუქმდეს.

2. სარჩელზე მოპასუხე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საქმის წარმოება შეწყდეს დავის საგნის არ არსებობის გამო.

3. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელზე, მდებარე ქ. თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, დასაბუთებული განჩინების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (მდებარე ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის ქ. №7ა).

თავმჯდომარე:  /დ. ჭუმბურიძე/

მოსამართლეები:  /მ. ბაქრაძე /

 /ა. იოსელიანი/